დინამოელები შინ დაბრუნდნენ

არგენტინის ტურნედან გუშინ თბილისში დაბრუნდა თბილისის “დინამოს” ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი. ჩვენი კორესპონდენტი ჯ. კასრაძე აეროპორტში შეხვდა გუნდის კაპიტანს მანუჩარ მაჩაიძეს და სთხოვა რამდენიმე შეკითხვაზე ეპასუხა:

– რა შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე არგენტინელთა გუნდებმა?

– ალბათ, გაგიკვირდებათ, თუ მსოფლიო ჩემპიონების ქვეყანაზე საერთოდ აღიარებულ აზრს ვერ გამოვთქვამ. ის გუნდები, რომლებთანაც ჩვენ მოგვიწია შეხვედრებმა, ყველა უმაღლესი ლიგისა იყო. “ბოკა ხუნიორსი”, რომელსაც პირველ თამაშში შევხვდით, ქვეყნის ჩემპიონატში მეხუთე ადგილზეა, “ველეჟი” – მეორეზე, “როსარიო” მესამე–მეოთხე ადგილებს იყოფს, ტუკუმანის “სან–მარტოსი” – მეექვსეზე, ხოლო “მენდოზა” სატურნირო ცხრილის შუაშია. მიუხედავად ამისა, ისინი, საკმაოდ უხეშობდნენ მინდორზე. რაც შეეხება ტექნიკას, ჩემი აზრით, ისინი უფრო ადგილზე არიან ტექნიკურები, ვიდრე მოძრაობისას, ვფიქრობ, ნეიტრალურ მინდორზე არ გაგვიჭირდება იქ წაგებული თამაშების მოგება.

– 3 თებერვალს ქალაქ როსარიოში უნდა გეთამაშათ ადგილობრივ “ცენტრალთან”. ამის შესახებ პრესაში არავითარი ცნობა არ გამოქვეყნებულა.

– ამ გუნდს, მართლაც, 3 თებერვალს უნდა შევხვედროდით. მაგრამ გადაუღებელი წვიმების გამო თამაში 4 თებერვლისთვის გადაიტანეს. თამაში უაღრესად დრამატულად წარიმართა – ვიგებდით ანგარიშით 2:1. პირველი ბურთი მე გავიტანე, მეორე – კოპალეიშვილმა. მეორე ტაიმში ჩვენები გადაიღალნენ, ოდნავ მოეშვნენ, რაც კარგად გამოიყენა მეტოქემ. 7 წუთი აკლდა თამაშის დამთავრებას, როდესაც ზედიზედ ორი ბურთი გავუშვით.

– რას იტყვით მსაჯობაზე?

– ყველა თამაშს ადგილობრივი არბიტრები მსაჯობდნენ. თანაც უაღრესად არაობიექტურად.

– როგორ ეხმაურებოდა ადგილობრივი პრესა თქვენს გამოსვლებს?

– ჩემი იქ ყოფნის პერიოდში ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ მათ თავისი წარმატებებით თავბრუ აქვთ დახვეული და სხვა ქვეყნების ფეხბურთზე თავშეკავებულად ლაპარაკს ამჯობინებენ.

– ჩვენი გუნდიდან ვინ ითამაშა ყველა შეხვედრა?

– მე, ხინჩაგაშვილმა, ქორიძემ და სულაქველიძემ. გუცაევმა პირველივე თამაშში ტრავმა მიიღო და მაყურებლებში გადაინაცვლა. ყიფიანმა ბოლო სამი მატჩი ითამაშა.

– არგენტინის შემდეგ თქვენ პერუში უნდა ჩაგეტარებინათ ორი თამაში…

– აქედან გზად პერუში ჩავფრინდით. იქ ადგილობრივმა სპორტის მესვეურებმა გვითხრეს, რომ მათი წამყვანი გუნდები სხვადასხვა ქვეყნებში ატარებენ ტურნეს და ვერ მოახერხებენ დაგეგმილი დროისათვის ჩომოსვლასო.

– თქვენი შთაბეჭდილება არგენტინაზე.

– მომეწონა. ზოგიერთი კუთხე ძალიან ჰგავს საქართველოს, განსაკუთრებით დასავლეთი – ჰავით და ტენიანობით.

– ორიოდე სიტყვით, გუნდის სახვალიო გეგმებზე.

– ხვალ–ზეგიდან დიღმის ბაზაზე შევიკრიბებით და საბჭოთა კავშირის თასის შეხვედრებისთვის მოვემზადებით.

“ლელო”, 14 თებერვალი, 1980 წ.